ხაშურის მოამბე

№16(340) 1 მაისი, კვირა, 2022 წელი

დღეს კვირაცხოვლობაა, გილოცავთ!

აღდგომის მომდევნო კვირა, ანუ კვირაცხოვლობა, სხვაგვარად იწოდება თომას კვირად, რადგანაც ამ დღეს ქრისტიანები იხსენებენ თომას რწმენაში მოსვლის სასწაულს.

მაცხოვრის ჯვარზე გაკვრით შეძრწუნებული თომა მოციქულის გონება უნუგეშო ფიქრებით იყო დამძიმებული, ძვირფასი მასწავლებლის დაკარგვის გამო – ქრისტეს მოწაფეების მტკიცებებს, მასწავლებლის აღდგომასთან დაკავშირებით, იგი პასუხობდა: „თუ არ ვიხილავ მის ხელებზე ნალურსმნევს და ნალურსმნევში არ ჩავყოფ თითს, მის ფერდში კი - ხელს, არ ვირწმუნებ“ (იოანე, 20:25).

აღდგომიდან მერვე დღეს, უფალი ეჩვენა თომას იმის დასტურად, რომ აღდგომის შემდეგ იგი ერთთავად მოწაფეებთან იყო, არ დაუცადა თომას შეკითხვას და თავად უჩვენა ნაჭრილობევი, რითაც უპასუხა მის სიტყვით გამოუთქმელ კითხვას, რის შემდეგაც თომამ წამოიძახა:

„უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“(იოანე, 20:28). ამით თომამ არა მხოლოდ აღდგომა ირწმუნა ქრისტესი, არამედ ირწმუნა მისი ღვთაებრიობაც!

თომას კვირიდან, დიდმარხვის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მართლმადიდებლურ ეკლესიებში ხდება ჯვრისწერის საიდუმლოს შესრულება.

თომას კვირა იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ამ დღეს ეკლესიებში მორწმუნეებს ურიგდებათ არტოსი. რა არის არტოსი? აღდგომის დღიდან, მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე, ეკლესიებში, კანკელის წინ, დგას მაგიდა პურით. ეს პური საგანგებოდაა გამომცხვარი და ეწოდება არტოსი („არტოს“ - ბერძნ. „პური“). სადღესასწაულო დღეებში არტოსი განსაკუთრებული მადლით იმოსება და დიდ სიწმინდეს წარმოადგენს.

კვირაცხოვლობას არტოსი მცირე ნაწილებად იჭრება და მორწმუნეებს ურიგდება. არტოსს მორწმუნეები კიდევ უფრო ანაწევრებენ და მთელ წელიწადს ინახავენ წმინდა ადგილას; ავადმყოფობის ან სხვა განსაცდელის ჟამს არტოსი მიიღება, როგორც სულიერი წამალი – საკურნებლად სულისა და ხორცისა.

უფალო იესო ქრისტე, ჩვენო მეუფევ და ღმერთო, დაგვეხმარე, რომ მოვიკრიბოთ სულიერი თუ ფიზიკური ძალები და შენთან ერთად ავიდეთ გოლგოთის უკანასკნელ აღმართზე, შენთან თანაჯვარსვეცვათ, თანადავეფლათ, რათა შენთანვე აღვდგეთ მკვდრეთით და დავიმკვიდროთ ჩვენთვის განმზადებული საუკუნო ადგილი მარჯვენით ღმრთისა და მამისა; ღმერთო, შენ აცხოვნე სრულიად საქართველო. ამინ.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, შიდა ქართლის რეგიონში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2022 - 2024 წლებში, საქართველოს 59 მუნიციპალიტეტის (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა) კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს ეტაპობრივად აზომავს და დაარეგისტრირებს. მიწის სისტემური რეგისტრაცია ქვეყნის 1000-ზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს. რეფორმის შედეგად, ქვეყნის დაახლოებით 1/3 დარეგისტრირდება, უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემები შეიქმნება და უძრავი ქონების ბაზარი განვითარდება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილეს სიმონ გულედანს, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების მერებსა და საკრებულოების თავმჯდომარეებს შეხვდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი.

შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებს მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის შესახებ დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. საუბარი სოფლებისა და დაბების დამისამართების საკითხებსაც შეეხო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ა(ა)იპ „კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) ი.პ კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება წარმოადგენს სახელოვნებო, შემოქმედებითი, პროფესიული განათლების და გამოცდილების მქონე კულტურის მუშაკთა ერთობას, რომელთა პირდაპირ სამსახურეობრივ -პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მის დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის დაწესებულებების (მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი- თოჯინების თეატრი, საქალაქო კულტურის ცენტრი, ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი გაერთიანების ცენტრი,სურამის კულტურის ცენტრი, ქვიშხეთის კულტურის ცენტრი) - მეშვეობით ხელი შეუწყოს, ჩამოაყალიბოს და განავითაროს კულტურის- ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებები: თეატრალური, თოჯინური ხელოვნების, ხალხური ფოლკლორის ხელოვნების დარგების: სიმღერის, ქორეოგრაფიის, რეწვის, ფერწერის, მუსიკის.

2021 წლის საანგარიშო პერიოდი ა.ა.ი.პ - სთვის, წინა წელთან შედარებით, ნაყოფიერი და მეტ-ნაკლებად დატვირთული აღმოჩნდა. კოვიდ პანდემია გრძელდება. კულტურის სფერო არსებული რეგულაციების სრული დაცვით ადაბტირდა რეალურ რთულ მდგომარეობასთან მიმართებაში და ეცადა ჩვეული შემოქმედებითი ფორმის აღდგენას.

ჩვენი ძირითადი დასაყრდენი ცოცხალი შემოქმედებითი პროცესისთვის არის სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მქონე ბავშვები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, ზოგადად, საზოგადოების ყველა ფენა. ჩვენ პირდაპირ ცოცხალ კონტაქტში ვართ ბავშვებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებთან და იზოლირებულად მათ გარეშე ჩვენი მუშაობა წარმოუგგენლად მიგვაჩნია! დადის ბავშვი ბაღში,სკოლაში და. თავისთავად. კულტურის დაწესებულებებშიც, თეატრის სპექტაკლებზე, ინტერესთა მიხედვით სხვადასხვა წრეებზე, მხატვრულ კოლექტივებშიც ერთიანდება და ასე იყო ყოველთვის. პანდემიამ ყველაზე დიდი დარტყმა მაინც კულტურის დაწესებულებებში მიმდინარე ცოცხალ შემოქმედებით პროცესს მიაყენა: განვმეორდებით და მიუხედავად ყველაფრისა, გაერთიანების ცალკეულმა დაწესებულებებმა ,კოლექტივებმა მაინც შეძლეს მუშაობის წარმოება და აქ ისევ და ისევ გამოსაყოფია ჩვენი სახელოვანი თოჯინების თეატრი!

თეატრმა 2021 წლის მაის-ივნისის თვეში უჩვენა თოჯინური სპექტაკლი „ყველა თაგუნას უყვარს ყველი“. 2021 წლის 12 ივლისიდან 18 ივლისამდე თეატრი იმყოფებოდა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „ნარინჯისფერი ქობულეთი'' და გრან პრი და პირველი ადგილით ხელდამშვენებულები დავბრუნდით. ფესტივალზე უამრავი შემოქმედებითი კოლექტივი იყო ჩამოსული. განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა უკრაინის ერთ-ერთი ფოლკლორული შემოქმედებითი კოლექტივის გამოსვლები და ყველაზე მთავარი, მეგობრული შეხვედრა ჩვენი და მათი ანსამბლის წევრების მონაწილეობით. როგორც მასპინძლებმა ალაფურშეტი მოვუწყეთ. გაიცვალა ურთიერთ შემოქმედებითი გამოცდილება,იყო უამრავი ცეკვა, სიმღერა,სადღგრძელოები საქართველო-უკრაინის მეგობრობის პათოსით გაჯერებული.

2021 წლის 25 ივნისს, თოჯინების თეატრის წინამდებარე სკვერში, თეატრის ორგანიზებით მოეწყო ფერადი ცარცით ხატვის ფესტივალი რომელშიც, წინამდებარე ბინისა და ჩვენი უბნის ბავშვებთნ ერთად, მონაწილეობდნენ მომავლის სახლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბაშვები. ფესტივალის ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და დიპლომები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტაშისკრის ბრძოლის გამარჯვებისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული , რომელიც 27 ივნისს მუნიციპალიტეტის მერიის , მაჟორიტარი დეპუტატის ზაზა დუგლაძის სრული მხარდაჭერითა და ჩვენი ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიებას მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მეუფე სვიმეონი და სტუმრები დაესწრნენ. საზეიმო კონცერტი ჩვენი მხატვრული კოლექტივების, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების გამოსვლით დასრულდა და, რაც მთავარია, ხუთასამდე ბავშვი, ახალგაზრდა განიმსჭვალა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით, გაიგო ჩვენი წინაპრების გმირული წარსულის შესახებ.

ასევე, აღსანიშნავია ზაფხულში, 20 ივნისს, ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, ჩვენი მუნიციპალიტეტის შემოქმედ ხელოვანთა- ხალხური რეწვის, ქარგვის, გობელენის, ფერწერული ნამუშევრების ნიმუშების გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა, რომელიც ისტორიულ მუზეუმ ქალაქ უფლისციხეში ჩატარდა და განსაკუთრებული მოწონება ჩვენმა გამოფენამ დაიმსახურა.

ასევე, 19, 20, 21 დეკემბერს ფოლკლორულმა გუნდმა „ქართლი'' -ხელ-ლი გიორგი შუბითიძე,მონაწილეობა მიიღო ბორჯომ - ბაკურიანში გამართულ შემოქმედებით ფესტივალზე.

რაიონის სანაქებო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფრესკამ'', ქორეოგრაფი ელენე რატიანი, 15 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო ფესტივალზე „ფოლკარტი''.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 27 დეკემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის ეგიდით ჩატარებული წინა საახალწლო ღონისძიება და ასევე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ 25 დეკემბერს ჩატარებული ნაძვის ხის ანთების ღონისძიება და 31 დეკემბერს წინა საახალწლო ღონისძიება სტუმრად საახალწლო სოფელში'' სადაც ჩვენმა მხატვრულმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ჩვენს ანგარიშში ასევე გვინდა წარმოგიდგინოთ ა.ა.ი. პ -თვის გამოყოფილი სუბსიდიით 2021 წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამეურნეო სამუშაოები.

ა) სურამის კულტურის ცენტრში, ივლისი - აგვისტოს თვეში, რეაბილიტაცია გაუკეთდა სურამის კულტურის ცენტრის სველ წერტილს, რომელიც კულტურის ცენტრის არსებობის მანძილზე არ მომხდარა. აღნიშნული სამუშაოები 3723 (სამი ათას შვიდას ოცდასამი) ლარი დაჯდა.

ბ) ქვიშხეთის კულტურის ცენტრში, რეაბილიტაცია გაუკეთდა სამ სამუშაო ოთახს,შეიცვალა კარებები,ფანჯრები,ამოიცვალა დაზიანებული იატაკი და შეიღება. ასევე შევუძინეთ კარადა - სულ დაიხარჯა 3345 (სამიათას სამას ორმოცდა ხუთი) ლარი.

გ) ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითრების ცენტრში მოვახდინეთ გაზის მილის რელოკაციის სამუშაოები - სულ 708,29 (შვიდას ცხრა) ლარი.

დ) თოჯინების თეატრში შეიცვალა თეჯირი და ფარდის წინა შუბლი, მოეწყო ფარდის ამწევი კონსტრუქცია - 600 (ექვსასი) ლარი.

ე) თეატრის სკვერის ცოცხალი ღობისთვის, 35 გრძლივ მეტრზე, შევიძინეთ 150 ცალი მცენარე ტუია,მოხდა გრუნტის გაჭრა ,ნიადაგის მომზადება და ჩარგვა,მავთულის დამცავი ღობის მოწყობა- დაჯდა 3714 (სამიათას შვიდას თოთხმეტი) ლარი.

ეს გახლავთ პანდემიის პირობებში თითზე ჩამოსათვლელი მაგრამ თავისი მნიშვნელობით ძალზე ღირებული ღონისძიებების ჩამონათვალი. ჩვენ იმედის თვალით ვუყურებთ მომავალს და გვჯერა, რომ პანდემია ერთ მშვენიერ დღს დასრულდება და ჩვენი გაერთიანება კვლავ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.

ანგარიშს დანართის სახით თან ერთვის კულტურის ცენტრების გაერთიანებაში შემავალი კულტურული დაწესებულებების მიერ ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი:

ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრი

1. პროექტი ათი ნაწარმოები - 29 მარტი.
2. წიგნების თარო - 10 ივნისი.
3. ჰარი პოტერის დღე - 21 მაისი.
4. საბავშვო წიგნის დღე - 2 აპრილი.
5. წიგნის დღე - 23 აპრილი.
6. გამოფენა ღია ცის ქვეშ „არ ვუშინდებით- ერთად გავაფერადოთ ჩვენი სამყარო'' – 20 ივნისი.

სურამის კულტურის ცენტრი

1. ღონისძიება ახალ წელთან დაკავშირებით „შეხვედრა პირველ კლასელებთან - 19 იანვარი.
2. პოეზიის საღამო „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები'' – 9 აპრილი.
3. წიგნის კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კითხვა- იოსელიანის ნაწარმოების „გასროლა კაჟანი თოფით'' – 23 აპრილი.
4. დედაენის გაცილება - 16 მაისი.
5. წლის შემაჯამებელი ღონისძიება - 25 ივლისი.
6. შემოდგომის გაცილება - 20 ოქტომბერი.
7. საახალწლო ზეიმი - 24 დეკემდერი.

ქვიშხეთი კულტურის ცენტრი

1. შობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი- საღამო - 8 იანვარი

საქალაქო კულტურის ცენტრს შემოქმედებითი აქტივობა არ ჰქონია.

2021 წლის განხორციელებული პროგრამის კულტურული ღონიშძიებების ჩამონათვალი

1. უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას დაბადების დღის

(დასასრული III გვერდზე)

ა(ა)იპ „კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების“ ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

(დასასრული)

აღსანიშნავად ორგანიზებული ღონისძიებები - 739 ლარი.

2. 3-8 მარტს, დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები- 2001 ლარი.

3. 9 აპრილთან დაკავშირებული ღონისძიებების მოწყობა 207.50 ლარი

4. 9 მაისთან დაკავშირებული ღონისძიების ხარჯი - 567 ლარი

5. ყვავილების გვირგვინის შესყიდვა 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 332 ლარი

6. ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიების ხარჯი - 300 ლარი,

7. ტაშისკარში გამართული ღონისძიების ხარჯი - 660 ლარი,

8. სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა ტრანპორტირება ბორჯომში - 120 ლარი,

9. მასწავლებელთა აღიარების კონკურსში გამარჯვებულისათვის ყვავილების შესყიდვა - 39 ლარი,

10. უკრაინის ქალაქ ნოვოგრად ვოლინსკში გასამართ ღონისძიებებისათვის პროდუქციის შესყიდვა - 600 ლარი,

11. სოფელ წაღვლში ანსამბლ „ფორტეს'' კონცერტის ხელშეწყობისათვის ხარჯი - 1930 ლარი,

12. 8 აგვისტო - რუსეთ -საქართველოს ომის დროს დაღუპულების მემორიალის ყვავილების გვირგვინით შემკობა - 350 ლარი.

13. მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა ტრანსპორტირება, ბორჯომში, მუსიკის მე-11 საერთაშორსო ფესტივალზე -160 ლარი.

14. საპატიო მოქალაქეებისათვის მედალიონების შესყიდვა - 1000 ლარი,

15. სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ყვავილების გვირგვინის შესყიდვა - 125 ლარი.

16. სხადასხვა პროდუქტის შეძენა, შშმ პირების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის დღის ცენტრის ბავშვებისათვის - 1106.50 ლარი,

17. წვეულების და ღონისძიების ხარჯი - 100 ლარი,

18. კლასიკური მუსიკის მე-14 საფესტივალო კვირეულში „ფესტივალიდან ფესტივალამდე'' მონაწილეობის ხარჯი - 1960 ლარი.

19. ანსამბლ „ქართლის'' წევრების ტრანსპორტირება რესპუბლიკურ ფესტივალ „ბაკურიანი 21'' მონაწილეობის ხარჯი 600 ლარი.

20. მოლბერტისა და საკანცელარიო ნივთების შეძენა ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების წრის ბავშვებისათვის - 1494 ლარი.

21. სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება „ჰარმონიას მიერ ორგანიზებულ საშობაო კონცერტზე მონაწილეობის ხარჯი 250 ლარი.

22. მცირეფასიანი ფოიერვერკის ორი კომპლექტის შეძენა წინა საახალწლო ღონისძიებისათვის 1500 ლარი.

23. ანიმატორული მომსახურება ახალი წლის ღონისძიებისათვის - 400 ლარი.

24. ჩოხა-ახალუხის კომპლექტის შეკერვის მომსახურების ხარჯი - 3780 ლარი.

25. საკვების შესყიდვა წაღვლის ბაღის ბავშვების, კრიზისული ოჯახებისთვის, ინკლუზიური განათლების ბავშვებისათვის, ალილოს საჩუქრებისათვის - 5287.20 ლარი.

გიორგი ბოლოკაძე,
ა(ა)იპ „კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების დირექტორი

კონფერენცია ხაშურის ქალაქად გამოცხადების 100 წლისთავთან დაკავშირებით

ხაშურს, 2021 წელს ,100 წელი შეუსრულდა მას შემდეგ, რაც ქალაქის სტატუსი მიიღო. ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ეს სტატუსი საქართველოში რკინიგზის განვითარებას და დასახლებული პუნქტის, ხაშურის მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია. გასულ წელს ამ თარიღის აღნიშვნა, პანდემიური სიტუაციის გამო, ვერ მოხერხდა ხოლო წელს,27 აპრილს, ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებულ ამერიკულ კუთხეში, კონფერენციით აღინიშნა.

გიორგი ჩუბინიძე, კონფერენციის ორგანიზატორი: „ქალაქი ხაშური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია როგორც საქართველოს ისტორიაში, ასევე გეოგრაფიაში და საინტერესო საკვლევი თემაა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინისთვის. როგორც ხაშურელს, დიდი სურვილი მქონდა, ამ თარიღის აღნიშვნაც ისტორიის ნაწილად გვექცია და ქალაქის სტატუსის უკვე ასწლოვანი თარიღი ღირსეულად აღგვენიშნა. ამ იდეის განხორციელებას ამერიკულმა კუთხემაც დაუჭირა მხარი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, განათლებისა და კულტურის მულტიპუნქციური ცენტრის თანადგომით ჩვენი კონფერენცია, სხვადასხვა საინტერესო მომხსენებლის წყალობით, ვფიქრობ რომ შედგა''. კონფერენცია ისტორიკოსმა გიორგი ჩუბინიძემ გახსნა. მან საზოგადოებას კიდევ ერთხელ განუმარტა კონფერენციის მნიშვნელობა და მისი ჩატარების თარიღი, 27 აპრილი, რომელიც დიმიტრი ყიფიანის დაბადების დღეს დაუკავშირა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, ეთნოლოგიის დოქტორმა მირიან ხოსიტაშვილმა შიდა ქართლის ეთნოლოგიის საკითხები მიმოიხილა. მან ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის მახასიათებლებზე გაამახვილა ყურადღება და ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის როლზე. მოხსენების ბოლოს მირიან ხოსიტაშვილმა გამოთქვა მზაობა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა მხარს დაუჭერს ამგვარ პროექტებს და მზადაა კონფერენციის მასალების გამოცემის საკითხებიც უზრუნველყოს. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველმა, ეთნოლოგმა მზია ლობჟანიძემ ხაშურის დაარსების ისტორიულ ნიუანსებზე ისაუბრა. მან აღნიშნა ხაშურის ქალაქად გამოცხადების მიზეზების შესახებ და ამ საკითხის გარშემო არსებული მასალები წარმოადგინა. ისტორიკოსმა გიორგი ჩუბინიძემ წაიკითხა მოხსენება ხაშურის მუნიციპალიტეტში ეკლესიის ისტორიის საკითხებზე, სურამისა და ხაშურის ეპარქიის ისტორიულ წარსულზე, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებებში ხაშურის ეპარქიის კუთვნილებებზე. ხაშურის პირველი სკოლის დირექტორმა, ისტორიკოსმა მორის დანდურიშვილმა სურამში მცხოვრები ებრაელების ისტორიის, მათი ემპირიული ცოდნის საკითხები გააცნო დამსწრე აუდიტორიას. ხაშურის ამერიკული კუთხის კოორდინატორმა, ქეთევან მეტრეველმა ისაუბრა ხაშურის და საერთაშორისო პარტნიორების საკითხზე. საერთაშორისო ორგანიზაციების გაწეულ საქმიანობაზე ხაშურის მუნიციპალიტეტში და ამერიკული კუთხის მნიშვნელობაზე. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ნინო სუხიაშვილმა ხაშურში ქალების პოლიტიკურ, თუ საზოგადოებრივ ჩართულობაზე წაიკითხა

მოხსენება. ხაშურის საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნინო შუბითიძემ ხაშურის ბიბლიოთეკის ისტორიის საკითხები მიმოიხილა და ბიბლიოთეკის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. კონფერენციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მომხსენებლებთან ერთად დამსწრე აუდიტორიაც მონაწილეობდა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენიალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა და თანამშრომელმა ლოლა სანაიამ მომხსენებლებს ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები გადასცეს საჩუქრად. ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიის კვლევა ახალი თაობისთვის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან აქ ბევრი საინტერესო სამეცნიერო მიმართულების გამოკვლევაა შესაძლებელი, რაც საბოლოოდ აწმყოს და მომავლის განვითარებაში მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ შეიძლება შეიქმნას.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

ჩვენს ორგანიზაციაში აქტიურად მუშაობდნენ ჩვენი ოჯახის წევრები: მამაჩემი – ლევანი, რომელიც პარტიის წევრი იყო 1917 წლიდან, ხოლო წითელრაზმელი იყო 1905 წლიდან. დედაჩემი – ნატო, პარტიის წევრი იყო 1917 წლიდან. ძმა – ზურაბი მუშაობდა ხაშურის არალეგალური ბიუროს თავმჯდომარედ. ძმა – დიმიტრი – ამჟამად პერსონალური პენსიონერია. ჩვენი ოჯახის წევრების გარდა აქტიურად მუშაობდნენ რევოლუციურ მუშაობაში კოლია მესხიძე, ისიდორე ლომიძე, გიორგი კალმახელიძე, ვანო ურიადმყოფელი და სხვები. ჩვენს ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოცდილი ბოლშევიკები, როგორებიც იყვნენ მოსე ცინცაძე და ელიკო აბაიაძე.

მენშევიკების ადილობრივმა მესვეურებმა ეჭვი აიღეს ჩემს არალეგალურ მუშაობაზე, რისთვისაც დამაპატიმრეს და როცა ჩემგან ვერაფერი გაიგეს იძულებულნი იყვნენ გამოვეშვით.

1920 წელს მენშევიკებმა გამიწვიეს ჯარში,სადაც განვაგრძობდი არალეგალურ მუშაობას. ხაშურში თურმე დასაპატიმრებლად დამეძებდნენ ამის გამო შევწყვიტე ხაშურთან კავშირი,რადგან ჩემი ადგილსამყოფელი არ გაეგოთ. ამ დროს აქტიური რევოლუციური მუშაობისთვის დაპატიმრეს მამაჩემი ლევანი და მოათავსეს ბათუმის ციხეში, საიდანაც იგი გამოვიდა მაშინ,როდესაც საქართველოში გამარჯვების დროშა აფრიალდა.

ჩვენ დიდი სიხარულით შევხვდით საქართველოში მე-11 წითელი არმიის შემოსვლას, როცა მე-11 არმიამ გორს მოაღწია ხაშურელმა ბოლშევიკებმა გადავწყვიტეთ ჯარის ნაწილებისათვის მოგვეწყო საზეიმო შეხვედრა. ამ მიზნით მოვიწვიეთ კრება ილიკო აბაიაძის ბინაზე, მოსე ცინცაძის ხელმძღვანელობით, მაგრამ მენშევიკებმა თავიანთი დამქაშების საშუალებით შეიტყვეს ჩვენი შეკრება. თავს დაგვესხნენ და დააპატიმრეს რამდენიმე ამხანაგი, ნაწილმა თავს უშველა გაქცევით. მოსე ცინცაძე და ილიკო აბიაძეც გაიქცნენ. მოსე ცინცაძემ თავი შეაფარა თედიაშვილებთან, მაგრამ მას იქაც მიაკითხეს, რის შემდეგ იგი მოვიდა ჩვენს ოჯახში და საიმედოდ დავმალეთ, ხოლო ილიკო აბაიაძე ხელთ ჩაიგდეს და მუხანათურად მოკლეს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ, ხაშურელმა ბოლშევიკებმა, მაინც მოვუწყეთ საზეიმო შეხვედრა წითელი არმიის ნაწლებს და წითელი დროშის ფრიალით, რომელიც დედაჩემს ნატოს მოჰქონდა, შემოვედით ხაშურში“.

ელისე ნოზაძე: „1920 წლის მაისში გამოცხადებული იქნა ამნისტია, რის შედეგად განთავისუფლებული იქნა პოლიტპატიმრები, ნება დაგვრთეს ლეგალური მუშაობისათვის. ამასთან დაკავშირებით ხაშურში მოწვეულ იქნა საერთო კრება, სადაც ვესწრებოდით, როგორც პარტიის წევრები, ასევე „სპარტაკელები“. ეს კრება მიმდინარეობდა ლუბრუმის მისასვლელთან. გოგირდის აბანოსთან, სადაც მოხსენება გააკეთა ძველმა ბოლშევიკმა გიორგი ელისაბედაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მიღწეულია დიდი გამარჯვება და ამის იქით ვიმუშავებთ ლეგალურად, მაგრამ ლეგალური მუშაობას ცოტა ხნის ისტორია ჰქონდა. ხაშურში შესდგა კონფერენცია 1920 წლის აგვისტოში საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობისათვის დელეგატების ასარჩევად. დელეგატებად არჩეულ იქნენ სოგრატ სიმონის ძე ბაბლიძე, დათიკო ალექსის ძე ლაბაძე და ამ მოგონებების ავტორი ელისე სიმონის ძე ნოზაძე.

1920 წლის 25 აგვისტოს გაიხსნა „სპატაკელთა“ პირველი ყრილობა. იგი გახსნა ბორის ძნელაძემ. ყრილობას ესწრებოდნენ ძველი ბოლშევიკები მამია და მარიამ ორახელაშვილები, არაქელა ოქუაშვილი, ნესტორ ცერცვაძე და სხვები.

ბორის ძნელაძე შესავალ სიტყვაში მიესალმა რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკას და მის გმირულ წითელ არმიას.. მენშევიკურმა მთავრობამ აკრძალა ყრილობის მსვლელობა და დაარბია ცეკას შენობა,დააპატიმრეს ცეკას წევრები და ნაწილი დელეგატებისა. ჩვენ ორგანიზაციას კვლავ მოუწია არალეგალურ მუშაობაზე გადასვლა,რაც უფრო ამჭიდროვებდა ჩვენს რიგებს. მენშევიკები აგიტაციას ეწეოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ,მაგრამ ჩვენ ყოველთვის უკუგვიქცევია იგი. ჩემთან ინახებოდა პოლიტიკური ლიტერატურა და პროკლამაციები,რომლებიც ვრცელდებოდა ჩემს მიერ უჯრედებში და მასებში. ამხანაგების მ. ცინცაძის და ა. გერმანაშვილის მიერ ჩემზე ჩაბარებული იქნა პარტიისა და მთავრობის (?) ორი დროშა,რომლისთვისაც ტარების გაკეთება და გაკრასკვა დაევალა ჩვენი ორგანიზაციის წევრს ლაზარე ტაგანაშვილს... საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (დროშები) ინახებოდა ჩემთან, რომელიც ხაშურში რევკომის დაარსებისთანავე ჩაბარებულ იქნა ჩემს მიერ.

ჩვენ პარტიის ცეკას მიერ გვქონდა მითითება, რომ გვეწარმოებინა აგიტაცია-პროპაგანდა მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც ავრცელებდნენ ჭორებს ვითომ წითელი არმია კი არ არის, რომელიც მოიწევს ჩვენსკენ, არამედ „ბრბო“ არისო. ბოლშევიკები არიან „უკანასკნელი ხალხი“ და არ ინდობენ არავისო და სხვა. ხალხს ვაფრთხილებდით, რომ არ წასულიყვნენ აკოფვების სათხრელად, არ გაეწიათ დახმარება მენშევიკური ჯარისათვის, რისი მსხვერპლიც გახდა ამხ. ილიკო ზაქარიას ძე აბაიაძე. ვიდრე ხაშურში წითელი არმია შემოვიდოდა ორი დღით ადრე ჯალათ გოგუაძის მიერ „ბრონევიკიდან“ დახვრეტილ იქნა იგი“.

მარგარიტა და სონია ლაბაძეები: „ჩვენმა მშობლებმა (ლევან და ნატალია ლაბაძეები), რევოლუციონერებმა სასტიკი დევნა და შევიწროება განიცადეს მენშევიკების ბატონობის დროს. რეპრესიებს განვიცდიდით მისი შვილებიც. ჩვენს ბინაზე იკრიბებოდნენ რევოლუციონერები და ტარდებოდა არალეგალური კრებები. კრებებს ესწრებოდენ ლევან ლაბაძე, ნატალია ლაბაძე (ლევანის მეუღლე), გიორგი ლევანის ძე ლაბაძე, ნადია ლევანის ასული ლაბაძე, დიმიტრი (მიტო) ლევანის ძე ლაბაძე, ზურაბ ლევანის ძე ლაბაძე. ამხანაგები: სიმონ ბარბაქაძე, ისიდორე ლომიძე, თამარა ცაბაძე, სიმონ პაქსაშვილი, მოსე ცინცაძე, პეტრე კაპანაძე. ჩვენ პატარები – მარგალიტა, სონია, თამარა ლევანის ასული ლაბაძეები, რასაც დაგვავალებდნენ პირნათლად ვასრულებდით. ვატყობინებდით რევოლუციონერებს როდის უნდა შეკრებილიყვნენ, როცა არალეგალური კრება მიმდინარეობდა, ჩვენ მცველებად ვიდექით ქუჩაში, რომ დაბეზღებით უეცრად თავს არავინ დაგვსხმოდა. ჩვენს ოჯახში ინახებოდა დროშა, პოლიტიკური ლიტერატურა, ტყვია-წამალი ინახებოდა კრიშაში შავ ჭერსა და ლამფის შუა. ოჯახი ბევრჯერ დაჩხრიკეს მენშევიკ-გვარდიელებმა, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს.. ლეგალიზაციის პერიოდში ძმამ – ზურაბმა გახსნა ბიურო და მთელი დოკუმენტები იქ გადაზიდა. შემდეგ იქ იკრიბებოდა ხალხი. აძლევდნენ მანდატებს. როცა გამწვავდა ბრძოლა და კვლავ დაიწყო რეპრესიები, ძმამ ბიურო ისევ დახურა და კვლავ სახლში გადმოზიდა ლიტერატურა და გვითხრა: ეხლა ბრძოლა გამწვავებულია და აბა თქვენ იცით, როგორ დამალავთო. წიგნები დავმალეთ, ძმა გაიქცაო...

...შემდეგ მამა დაიჭირეს,ძმებმა თავი შეაფარეს ტყეს. მამა იმ დროს იყო დაპატიმრებული ბაქოში,როდესაც დახვრიტეს 26 კომისარი. მამა სხვებთან ერთად გამოეყვანათ ციხიდან დახვრეტილი პატიმრების დასამარხავად და იმ დროს გამოიპარა და ჩამოვიდა ოჯახში. შემდეგ მამა კვლავ დააპატიმრეს ხაშურში და გააწესეს თბილისში,ჩასვეს კამერაში. იმ დროს იქ ყოფილა ფილიპე მახარაძე. შემდგომ მამა ბათუმის ციხეში გადაიყვანეს.

ეს ის დრო იყო, როცა მენშევიკები გარბოდნენ. როცა ბოლშევიკები შემოვიდნენ ჩვენს ბინაზე ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. ვიძახდით ვაშას, გაუმარჯოს ბოლშევიკებს, გაუმარჯოს თავისუფლებას. ამ დროს ჩვენს ოჯახში შემოვიდა წითელი არმიის მზვერავი, ქუდზე წითელი ვარსკვლავი ჰქონდა გაკეთებული. ბევრი ხალხი რომ დაინახა შეკრთა. ამ დროს წითელი დროშა გამოვიტანეთ და ავაფრიალეთ. იგი ცხენედან ჩამოხტა და დროშას აკოცა. შემდეგ შეგვეკითხა სად არიან კაცებიო. ჩვენ ვუპასუხეთ ბათუმის ციხეში იმყოფებიან, როგორც პატიმრებიო. მან გვიპასუხა, რომ ჩვენ ეხლა იქ მივდივართ და მალე გავანთავისუფლებთო. მართლაც ბათუმის ციხიდან მალე გაანთავისუფლეს პატიმრები და მამა იარაღით ჩამოვიდა ხაშურში. ხელში ეჭირა აგრეთვე წითელი ფერის ფუთა, რომელშიც ჰქონდა ფილიპე მახარაძისაგან ნაჩუქარი, ლურჯი ემალიროვანი ჩაინიკი“

ნადეჟდა ლევანის ასული ლაბაძე ამ ფაქტს ასე იგონებს: „როცა ხაშურში შემოდიოდა წითელი არმია, ჩვენს ეზოში აუარებელი ხალხი იყო შეკრებილი. ეს ის ხალხი იყო, რომლებიც წინათ თავს აფარებდნენ ჩვენს საიმედო ბინას. აი გამოჩნდა ცხენოსანი მზვერავი. იგი შემოვიდა ჩვენს ეზოში და როცა შეხედა თავმოყრილ ხალხს, იძრო რევოლვერი, დაგვიმიზნა და შეგვეკითხა, თუ რისთვის ვიყავით იქ შეკრებილები. ამ დროს მე იქვე ზურგს უკან მქონდა წითელი დროშა და იმ მზვერავს გავუშალე წინ. ეს მზვერავს ძალიან გაუხარდა, მადლობა გადაგვიხადა და წავიდა. დროშას ეწერა: „გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!“ აღბეჭდილი იყო აგრეთვე ლენინის და სტალინის პორტრეტები“.

ნიკოლოზ ქალიაშვილი: „შემდეგ გამიწვიეს მენშევიკურ ჯარში (ახალციხე-ახალქალაქი)... (ასეულის უფროსმა) გაგვიცხადა ჩვენ წავალთ, ბრძოლები მოგვიხდება წითელ არმიასთან, მაგრამ ვერას გავხდებითო. ას კაცზე ერთი კაცი ვიქნებითო. წამოვედით და ღამის გასათევად შევჩერდით აწყურში. მე და რუისელმა სიკო არაბაშვილმა, დრო ვიხელთეთ და გამოვიპარეთ. გზაზე, ღამით წინ შეგხვდნენ წითელი არმიისგან შეშინებულნი, ახალციხის ჯარიდან გაწვეულნი. ისინი გორიდან მოდიოდნენ მე მათ ვუთხარი აწყურს აუქციეთ, თორემ ისევ უკან დაგაბრუნებენ-მეთქი, მადლობა გადამიხადეს. მე ისევ ჭობისხევს მივაშურე და სიძესთან შევაფარე თავი, სანამ იქ წითელი არმია არ შემოვიდა. შემდეგ დავბრუნდი ჩემს სოფელ ქვიშხეთში და დავაარსეთ რევკომი.. ვამარაგებდი წითელ არმიას, ბზით, თივით, ქერით, ხორცით..

ალექსანდრე გერმანაშვილი 1920 წელს ხაშურიდან გაასახლეს. მან ეს ამბავი გაიოზ დევდარიანს აცნობა და შემდეგ დატოვა ხაშური. იგი წერს:

„გადავედი ქუთაისში და იქ ვიყავი, სანამ თბილისში წითელი ჯარი შემოვიდოდა. მეც ხაშურისაკენ გამოვეშურე და ჩვენი ორგანიზაცია მოვძებნე. აქ მე სამი ამხანაგი დამხვდა გიორგი კალმახელიძე,მოსე ცინცაძე და ნიკოლოზ მესხიძე. მათ თავი შეეფარებინათ ლევან ლაბაძის ბინაზე. მეც მათ შევუერთდი. გიორგი კალმახელიძემ დავალება მომცა: უნდა გავსულიყავი ხცისში,გლეხობასთან აგიტაცია ჩამეტარებინა, რომ მათ გზა ეჩვენებინათ წითელი ჯარისათვის ხაშურისაკენ. ხცისიდან რომ დაბრუნდი გამოირკვა, რომ ჩვენი ბინა მიეგნოთ და იძულებული გავხდით ბინა გამოგვეცვალა. დავბინავდით ვინმე მამუკაშვილის ბინაზე. მალე შევხვდით კიდეც წითელ ჯარს. მთავარი ყურადღება მივაქციეთ რკინიგზის ტრანსპორტს და ფოსტა-ტელეგრაფს“

ნიკოლოზ მესხიძე: „1921 წლის დასაწყისიდან საქართველოს მუშებისა და გლეხების თხოვნით.. წითელმა არმიამ გადმოლახა მენშევიკური საქართველოს საზღვარი. მენშევიკებმა სასტიკი რეპრესიები დაიწყეს ბოლშევიკების წინააღმდეგ. ციხეებში აგზავნიდნენ არა მარტო ბოლშევიკებს, არამედ ამ საქმეში ეჭვმიტანილებსაც. ამ დროისათვის ძალინ ცოტა კომუნისტები გადარჩნენ დაპატიმრებას. გადარჩენლები ვიმალებოდით სხვადასხვა ადგილას. მე და გ. კალმახელიძე ვიმალებოდით სოფელ ტეზერში ნ. ბაბიაშვილის სახლში. 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. იქ უკვე წითელი დროშა ფრიალებდა. წითელი არმია მოიწევდა დასალეთ რაიონებისაკენ. ჩვენ ვუკავშირდებოდით დარჩენილ ამხანაგებს და გადავწყვიტეთ ხაშურში თავის მოყრა. თებერვლის ბოლოს მე და გ. კალმახელიძემ ღამით ტეზრიდან ხაშურში მოვახერხეთ შემოსვლა, დავიწყეთ თავის მოყრა გიგუცა კალმახელიძის სახლის სარდაფში. იქ რამდენიმე ამხანაგმა მოიყარა თავი: მე, გ. კალმახელიძემ, ა. გერმანაშვილმა, მ. ცინცაძემ და სხვებმა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დაუყოვნებლივ შეგვექმნა თანამგრძნობთა ჯგუფი და მოგვეწყო ზურგში შეიარაღებული გამოსვლა, შეგვექმნა პანიკა მენშევიკებისთვის,ამისთვის საჭირო იყო იარაღის შოვნა. მე წამოვედი რუსთაველის ქუჩაზე, ბიძაჩემთან სახლში, იოსებ მესხიძესთან, რომელიც მაშინ ღვინით ვაჭრობდა,იმის გამოსარკვევად, თუ სად შეიძლებოდა მის მეზობლებში იარაღის შოვნა. ბიძაჩემის სახლში ვნახე კედელზე დაკიდებული შაშხანა და ჩანთა ვაზნებით სავსე – რასაც ეძებდე იმას პოულობდეო. გამოვკითხე თუ ვისი იყო შაშხანა და მიპასუხა რომ ერთ-ერთ მის ნაცნობ გვარდიელს დაუტოვნია, რომელიც ავად გამხდარა და წასულა სახლში, სოფელ მოხისში. თოფის წაღება მოვითხოვე და ბიძაჩემმაც უარი ვერ გაბედა.. საღამოს 8 საათი იქნებოდა, შაშხანაში ჩავაწყე ვაზნები, გამოვედი ქუჩაში და მოვდიოდი ამხანაგების ბინაზე, მაგრამ იქვე გზაჯვარედინზე თომაძის სახლთან დამაკავეს სამხედრო პატრულებმა. მე პატრულებს იოლად დავაღწიე თავი. მე მათ ვუთხარი, რომ ჯარისკაცი ვარ-მეთქი, ორი ჩემი ამხანაგი აგერ ახლოს ეზოში შევიდნენ პურის საყიდლად, დავუძახებ და მოვალთ-მეთქი. მათაც გამიშვეს. მე ვისარგებლე ამით, შევედი ეზოში და იქიდან გავიქეცი ჭალის უბნისაკენ, მაგრამ იქ შევეფეთე სხვა პატრულებს, რომლებმაც დამაკავეს და მიმიყვანეს იმ პატრულებთან, რომლებმაც პირველად გამაჩერეს. მათ მოახსენეს ჩემს შესახებ. შეიქმნა საეჭვო მდგომარეობა. იარაღი ამყარეს. მეკითხებოდნენ ვინაობას. მე მაიც ვუდასტურებდი, რომ მეხუთე ათასეულის ჯარისკაცი ვარ, წამოსული გომიდან და ვეძებ ჩემს ნაწილ-მეთქი. მათ წამიყვანეს და წარმადგინეს აბლ სხილაძის სახლში, სადაც თურმე მეხუთე ათასეულის ოფიცრები იყვნენ. იქ კითხეს,ვირიცხებოდი თუ არა მათ ათასეულში,მაგრამ მათ უარი განაცხადეს. ახლა კი მდგომარეობა სარიოზული შეიქმნა, ეჭვი ძლიერდებოდა. იქიდან წამომიყვანეს ქალაქის მილიციაში (ახლა რომ სასტუმროა) (რკ. სადგურის პირდაპირ – თ.ლ.) მილიციის უფროსი იყო ბიქტორ ჭიპაშვილი, ახლა კი საკმარისი იყო ვენახე ჭიპაშვილს და დაადასტურებდა ჩემ ბოლშევიკობას. ღამის 9 საათი იქნებოდა მიმიყვანეს ქალაქის მილიციაში. მილიციის უფროსი იქ არ იყო. დამამწყვდიეს. მე გრძელ სკამზე პირაღმა ვიწექი. მინდოდა, რომ თუ ჭიპაშვილი მოვიდოდა სახეზე არ შეეხედა, მოვიმძინარე თავი. ნახევარი საათის შემდეგ მილიციის უფროსიც მოვიდა. შემოვიდა ოთახში,ამაყენა ზეზე და... მალე ჭიპაშვილის კაბინეტში გამომიყვანეს... კომენდანტი მეკითხებოდა ვინაობას, ჭიპაშვილი უდასტურებდა ჩემს ბოლშევიკობას. მე ვუდასტურებდი ჭიპაშვილს, რომ მას შემდეგ რაც მათ ჩვენი ბიურო დაკეტეს და მისი ინვენტარი წამოიღეს,მას უკან თავი დავანებე ბოლშევიკობას-მეთქი. ვფიქრობდი: წითელი არმიის მოახლოების გამო შეიძლებოდა შეშინებოდა ჭიპაშვილს და ბრალდება ბოლშევიკობაზე დაჟინებით არ გაემეორებინა... ამ დროს გაისმა ჯარისკაცების ფეხის ხმა, კარები გაიღო და შემოიყვენეს ილიკო აბიაძე. ჩვენ ერთმანეთს თვალი შევავლეთ და თავები დავღუნეთ, თითქოს ერთმანეთს არ ვიცნობდით. ვიფიქრე, რომ ილიკო ალბათ ეხლა დაუჭერიათ-მეთქი. ვიფიქრე, ვაი, თუ სხვა ამხანაგების ბინასაც მიაგნეს-მეთქი. კომენდანტს რაღაც პაკეტი გადასცეს. სიჩუმე ჩამოვარდა. ილიკოს არაფერს ეკითხებოდნენ. გარეთ საეჭვო იარაღის ჩხარუნი ისმოდა. კომენდანტმა რაღაც ქაღალდი გადასცა. ილიკო გაიყვანეს უკანვე, მათ ფეხის ხმაზე ისმოდა, რომ ილიკო დაბლა ჩაყავდათ კიბეზე. აქ დარჩენილებს შორის რაღაც საეჭვო ლაპარაკი შეიქნა. მე ყურადღებას აღარ მაქცევდნენ, იქვე კარადის გვერდით ვდგევარ. თითქოს მათ ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევ. კომენდანტმა უთხრა მათ: მაგ ახალგაზრდას პარტიული ბილეთი დაუჭირეს და იმისთვის დახვრიტესო. ამ სიტყვებზე საზარელმა ჟრუანტელმა დამიარა, მე ჯიბეში მაქვს წითელი ლენტის ვარსკვლავი, რომელიც წინა ღამით დავამზადეთ იმისთვის, რომ წითელი არმიის შემოსვლის დროს გულზე გაგვეკეთებინა. ჯიბეში მქონდა თანამგრძნობთა სია 15 კაცისა, ხოლო პარტიული ბილეთი ქუდის სარჩულში, ახლა გამახსენდა, ყველაფერმა ელვასავით გამირბინა თავში. საჭირო იყო სწრაფი გააზრება როგორ მომესპო ისინი. ძირს დაგდება შეუძლებელი იყო. რამდენიმე წამიც და ლენტიც და სიაც პირის ღრუში მოვიქციე და ჩავყლაპე, ხოლო პარტიული ბილეთისთვის, რომელიც ქუდის სარჩულში მქონდა, ხელი არ მიხლია. მეც მოვათავე ჩემი საქმე და მათაც დაამთავრეს კამათი. გამიკეთეს პირადი ჩხრეკა, გადმომიბრუნეს ჯიბეები, მაგრამ რასაც ეძებდნენ ის იქ აღარ დახვდათ. ფული ჩამომართვეს და ხელწერილი მომცეს. გამიყვანეს საპატიმრო ოთახში. დაიწყო წამების ღამე. ახლა ჩემთვის გასაგები იყო, რომ დახვრეტაც არ ამცდებოდა, თუ იმ ღამეს არა, მეორე ღამეს მაინც. ათასნაირი ფიქრები ელვის სისწრაფით გარბოდნენ თავში: ხვალ თუ ზეგ ხაშურში ბოლშევიკები შემოვლენ, მე ვეღარ ვესწრები, როგორც ილიკო ვეღარ მოესწრო. ისიც მაღონებს, რომ ამხანაგებმა არ იცოდნენ, ისე დამხვრეტდნენ. არც ბიძაჩემმა იცოდა, როგორ ჩავარდი. რამდენიმე საათის შემდეგ სხვადასხვა ფიქრები თანდათან მცირდებოდა. ჩემს წინაშე მხოლოდ ერთი საკითხი რჩებოდა, როგორ შევხვედროდი სიკვდილს. უცებ თავში გაიელვა ერთმა აზრმა, მოვითხოვე საპირფარეშოში გასვლა და იქიდან, მეორე სართულიდან შეიძლებოდა გადახტომა. გადაწყდა ეს აზრი. კარებზეც ვარახუნებ. გასვლას ვთხოულობ. კარებიც გამიღეს. ორი ჯარისკაცია, იქამდე ათი ფეხის ნაბიჯია. მაშ ასე 12 საათი იქნება, ბნელი ღამეა. შევედი უსაქმოდ საპირფარეშოში, იქიდან გამოსვლა? მაგრამ აქვე გამიელვა ფიქრმა იმის შესახებ, რომ ქვეშ მესერია, ვაი თუ მუცლით დავეგო და ეს კი დახვრეტაზე საშინელი სიკვდილი იქნება... დავბრუნდი უკან, დავემორჩილე ჩემს ხვედრს. წრე ყოველი მხრიდან შეიკრა, ახლა მე თითონ უცდიდი როდის გამიყვანდნენ დასახვრეტად... თითქოს ერთბაშად დიდი ტვირთი ჩამომეხსნა, ნებისყოფა გაკაჟდა, გულის ძგერამ იკლო, ვიცოდი, რომ დამხვრეტდნენ, მაგრამ დიდებული საქმისთვის, რევოლუციისათვის, ხალხის თავისუფლებისათვის. სულ უფრო ვმშვიდდებოდი. არაჩვეულერბრივ სიმაგრეს ვგრძნობდი, ეხლა თითქოს კიდევაც მეჩქარებოდა მალე მომეხადა ჩემი ვალი.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სურამში, უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

„ამ ეტაპზე ხორციელდება ღობის სრული განახლება, პროექტის ფარგლებში, დაიგება ქვაფენილი, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, დაიდგმება სანაგვე ურნები, გაკეთდება განათება. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს, როგორც მუზეუმის ტერიტორიის გალამაზებას, ასევე ადგილობრივებისთვის და ვიზიტორებისთვის მეტი სივრცე შეიქმნება გართობისა და დასვენებისთვის“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად ადგილზე იმყოფებოდა ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი, მისი განმარტებით, პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 83 591 ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - დიდ და პატარა სატივეში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

დიდ და პატარა სატივეში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის პროექტი გარდამავალია, მას მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, სამუშაოების ღირებულება 1 774 997 ლარს შეადგენს.

ამ ეტაპზე გზის მოსწორების სამუშაოები მიმდინარეობს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის–თენგიზ ჩიტიაშვილის განმარტებით, აღნიშნულ სოფლებში, ამ დრომდე, საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა, რაც გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. პროექტის განხორციელების შემდეგ კი ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება.

ხაშურში, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, დასუფთავების აქცია გაიმართა

სოფელ ტეზრის მიმდებარე ტერიტორია მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და ა(ა)იპ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დაასუფთავეს.

აქციაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ტეზრის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

მუნიციპალიტეტის ჩართულობით დასუფთავების აქციები ხშირად იმართება, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.

აქცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს“ ინიციატივით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

„დღის ცენტრი“ - საქველმოქმედო ფესტივალში „მშვიდობა უკრაინაში“

ეთილდღეობისა და განვითარების ცენტრმა „მომავლის სახლი“ მონაწილეობა მიიღო ქართული სიმღერისა და ცეკვის სატელევიზიო და საქველმოქმედო ფესტივალში „მშვიდობა უკრაინაში“. ღონისძიება გაიმართა ქალაქ თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“.

დღის ცენტრის ბენეფიციარები კიდევ ერთხელ ჩართულობისთვის და წარმატებული გამოსვლისთვის დააჯილდოვეს მედლებითა და დიპლომებით

ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი, რომელიც საკუთარი ხელით აშენებს ტაძარს

ეკლესია-მონასტრების მშენებლობას, ისტორიულად, დიდი მნიშვნელობა აქვს, თავისი დანიშნულების მრავალფუნქციურობის მხრივ. გარდა სასულიერო და ღვთისმსახურების აღვლენის, ხშირად, თავდაცვის, საგანმანათლებლო ფუნქციასაც ითავსებდა, რამაც დღემდე მოიყვანა ქართველობა. ეკლესია-მონასტრების მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს ქვეყანაში. დღეს ცხრამუხელი ახალგაზრდა, ელია ხმალაძე გვინდა გაგაცნოთ, რომელმაც საკუთარი სურვილით და რესურსით დაიწყო ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიის მშენებლობა. საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, გამოიყენა და ამბობს, რომ მეუფე იობის

სურვილს, კოდიწყაროს სოფელთან მდებარე მთაზე ეკლესია აშენებულიყო, შემოდგომით, უკვე დასრულებულ სახეს მისცემს.

–სანამ ეპარქია გაიყოფოდა, მეუფე იობს, ძალიან უნდოდა ამ მთაზე ტაძარი აშენებულიყო. ამ მთას ახლა ელიას მთას ეძახიან. ეპარქიის გაყოფის შემდეგ, მეუფეს დავპირდი, რომ ავაშენებდი იმ ადგილას ჯვართამაღლების ტაძარს და

მის დაბადების დღეზე გავხსნიდი. მეუფეც ძალიან მეხმარებოდა მშენებლობის დასაწყისში, სხვა ყველაფერს ჩემი რესურსით ვაკეთებდი.

- რა ეტაპზეა ახლა მშენებლობა? როგორც ვიცი, ფიქრობ, სხვა სივრცეებიც მოაწყო, რომელიც ტურისტების ინტერესსაც გამოიწვევს, ამაზეც რომ გვესაუბრო?

–მშენებლობა თითქმის დასრულებულია, ახლა გარეფასადის სამუშაოები მიმდინარეობს. გზაც ნაწილობრივ გამართულია, წყალიც შეყვანილია. ძალიან მინდა, გალავანი საქართველოს რუკის ფორმის გავაკეთო, განათებების დამონტაჟების შემდეგ, ძალიან ლამაზი და ემოციური სანახავი იქნება. დიდი სურვილი მაქვს, ობსერვატორიის მსგავსი სივრცე მოვაწყო, საიდანაც, დღის ორივე მონაკვეთში, შეძლებენ ჩვენი რაიონის დანახვას. ვფიქრობ, ტურისტებისთვისაც ძალიან სანახაობრივი და საინტერესო ადგილად იქცევა.

- ფინანსურად როგორ უძღვებით ამ დიდ საქმეს?

–თანადგომა ძირითადად ადამიანური რესურსია უფრო მეტად, ფინანსურ პასუხისმგებლობას მე ვიღებ და პლუს ის შემოწირულობები, რასაც მოსახლეობა იღებს თავისი სურვილით. მცირე შემომწირველები არიან, მაგრამ ამ

მადლითაც მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ. თუ ყველაფერი ასეთი ტემპით გაგრძელდება, შემოდგომით ვფიქრობთ ტაძრის გახსნას.

- გამოცდილება საიდან მიიღე? ამ ყველაფერს ხომ თავისი სპეციფიკა და ცოდნა ჭირდება.

–დაახლოებით 14 წლიდან სასულიერო ცხოვრებაში ჩავერთე, მეუფე იობთან ვმუშაობდი სხვადასხვა ტაძრის მშენებლობაზე, დაახლოებით 40 ტაძრის მშენებლობა-რესტავრაციაში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ეს საკმარისი გამოცდილება აღმოჩნდა იმისთვის, რომ ეკლესიის მშენებლობის მთელი სპეციფიკა შემესწავლა და მარტო გავძღოლოდი საქმეს.

- რა არის შენი ძირითადი საქმიანობა?

–ჩემი ძირითადი საქმეც ესაა, ძალიან დიდი ინტერესი მაქვს კულტურული ძეგლების აღდგენის. სხვადასხვა კომერციულ მშენებლობებზე ვმუშაობ და ძირითად შემოსავალს, ტაძრის მშენებლობისთვის ვიყენებ.

- როდესაც ტაძრის აშენა გადაწყვიტე, რა იყო უდიდესი სურვილი, რამ მოგცა მოტივაცია?

–ჩემი ინტერესი პირადი არაა, ძალიან მინდა, ადამიანებმა იარონ ეკლესიაში, მიიღონ ემოცია. ძალიან მაღალი ხარისხის აპარატურა შემოწირეს მშენებლობას და მსურველებს, შესაძლებლობა ექნებათ, საეკლესიო მსახურება გარეთაც მოისმინონ.

ადამიანებს უკვე შეუძლიათ ბორჯომისკენ მიმავალი გზიდან, მთაზე, განათებული ეკლესია დაინახონ, რომელიც მფარველობაში მოაქცევს სრულიად ჩვენ რაიონს.

ასე დაასრულა ჩვენთან საუბარი ამ საოცარმა ახალგაზრდა ხუროთმოძღვარმა, რომელიც ეკლესიის კარებს არასდროს კეტავს, სადაც შემოწირულობას და ტექნიკურ საშუალებებს ტოვებს. სჯერა სიკეთის, ღმერთის და ადამიანების.

თ. ჯავახიშვილი

ელიზბარ (გუჯა) კიზირიას ხსოვნას

არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეში ისეთ კვალს ტოვებენ, რომ შემდეგ თაობაში ათეული წლები რჩება ამ კვალის ნათელი. დავიწყების ბურუსი ამ კვალს არ ეხება და უამრავი პიროვნების გონებაში აგრძელებს სიცოცხლეს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი იყო გუჯა კიზირია, კაცი, რომელთან ურთიერთობას მუდამ სიხარული ახლდა

და ამ სიხარულის სათავე მუდამ თვითონ იყო. იცნობდა მთელ რაიონს, იცნობდა მთელი რაიონი და თვითონ სიკეთით აღვსილი სწორედ ამ პეშვი-პეშვ ნაგროვი სიკეთის გაცემა იქცია ცხოვრების წესად. სიყვარულს თესდა ყველგან, შორს იყო მისგან ანგარება და მხოლოდ ამ სიყვარულის მარცვლებს ეძებდა ყველასთან ურთიერთობაში. არ ჰქონია დალხენილი ცხოვრება, მაგრამ არასოდეს დასცდენია საყვედური მოყვასზე. საკუთარი ქედით გაიტანა მთელი ცხოვრება და ბევრი ღირებული შექმნა. ყველაზე ღირებული კი -ოჯახი, რომელიც მისთვის ციხე-სიმაგრეც იყო, ღირსებაც და განუზომელი ბედნიერებაც. მეგობრობაც საოცარი იცოდა და გვერდში დგომა მისი ცხოვრების წესი იყო. ფიქრიც კი გვიჭირს, რომ ასეთი კაცი აღარ არის ჩვენს გვერდით.

დღეს შენი დაბადების დღეა, გუჯა. კვირაცხოვლობა შენი ერთ-ერთი უსაყვარლესი დღესასწაული იყო და საოცრება და სიმბოლურია, რომ ეს დღესასწაული წელს შენს დაბადების დღეს დაემთხვა. ხშირად გითქვამს: სახლის კარს რო გავაღებ, პირველი კვირაცხოვლის ტაძარი მეგებება და მერე იქიდან გადმოსული მადლი მიმყვება მთელი დღეო... ეგ მადლი არ მოკლებოდეს შენს ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, რომლებიც შენი მანათობელი კელაპტრები იყვნენ და იქნებიან მუდამ.

კვირაცხოვლობას და დაბადების დღეს გილოცავთ, გუჯა!

გკოცნით და გეფერებით, კარგო კაცო!

რედაქციელები, მეგობრები

გაზეთის -''ხაშურის მოამბე" - რედაქციის თანამშრომლები, ღრმა მწუხარებით იუწყებიამ, რომ გარდაიცვალა

მამია (ბაჩო) ქველაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.